



- ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა E5-6 – „რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობებიდან მოსალოდნელი ფინანსური შედეგები“

## მიზანი

- წინამდებარე სტანდარტის მიზანია დაადგინოს მოთხოვნები ისეთი ინფორმაციის გამჟღავნებისთვის, რომელიც *მდგრადობის ანგარიშგების* მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან შემდეგი საკითხების შესახებ:
  - საწარმო როგორ ზემოქმედებს რესურსების გამოყენებაზე, მათ შორის რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, რესურსების ამოწურვის პრევენცია, ასევე მდგრადი ნედლეულისა და განახლებადი რესურსების გამოყენება (ამ სტანდარტში მოხსენიებულია, როგორც „რესურსების გამოყენება და ცირკულარული ეკონომიკა“) არსებითი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები ან პოტენციური *ზემოქმედების* თვალსაზრისით;
  - საწარმოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი *ქმედება*, რომელიც მიმართული იყო რესურსების გამოყენების შედეგად წარმოქმნილი ფაქტორები ან პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების პრევენციაზე ან შერბილებაზე და მისი შედეგები, მათ შორის საწარმოს მიერ გატარებული ზომები, რომლებიც ხელს უწყობს მისი ეკონომიკური ზრდის გამოცალკევებას მასალების გამოყენებისგან, ასევე რისკებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებაზე;
  - საწარმოს გეგმები და შესაძლებლობები, რომლებიც ეხება მისი სტრატეგიისა და *ბიზნესმოდელის* ადაპტირებას *ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების* შესაბამისად, რომელიც შეიძლება მოიცავდეს, სხვათა შორის ერთად, *ნარჩენების* მინიმიზაციას, პროდუქტების, მასალებისა და სხვა რესურსების ღირებულების შენარჩუნება მაქსიმალურად და წარმოებასა და მოხმარებაში მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას;
  - რესურსების გამოყენებისა და ცირკულარული ეკონომიკის შედეგად წარმოქმნილ საწარმოს ზემოქმედებასა და *დამოკიდებულებასთან* დაკავშირებული საწარმოს არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების ხასიათი, ტიპი და მასშტაბი, ასევე როგორ მართავს საწარმო ამ საკითხებს; და
  - რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკაზე საწარმოს ზემოქმედებისა და დამოკიდებულების შედეგად წარმოქმნილი არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების *ფინანსური გავლენა* საწარმოზე მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში.
- წინამდებარე სტანდარტი ადგენს „რესურსების გამოყენებასა“ და „ცირკულარულ ეკონომიკასთან“ დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს, კერძოდ, რომელიც ეხება:
  - შემოდინებულ რესურსებს*, მათ შორის არსებითი რესურსების შემოდინების ციკლორობას, განახლებადი და არაგანახლებადი რესურსების გათვალისწინებით;
  - გადინებულ რესურსებს*, მათ შორის ინფორმაცია, რომელიც ეხება პროდუქტებსა და მასალებს; და
  - ნარჩენებს*.
- ცირკულარული ეკონომიკა* ნიშნავს ეკონომიკურ სისტემას, სადაც პროდუქტებისა და სხვა რესურსების ღირებულება ეკონომიკაში შენარჩუნებულია შეძლებისდაგვარად დიდხანს, რის შედეგადაც მალდება მათი გამოყენების ეფექტიანობა წარმოებასა და მოხმარებაში და მცირდება მათი გამოყენების გავლენა გარემოზე, *ნარჩენებისა* და სახიფათო *ნივთიერებების* გამოყოფის მინიმიზაციით მათი სასიცოცხლო ციკლის ყველა სტადიაზე, მათ შორის *ნარჩენების იერარქიის* გამოყენების მეშვეობით. მიზანი არის, მაქსიმალურად გაიზარდოს და შენარჩუნდეს ტექნიკური და ბიოლოგიური რესურსების, პროდუქტებისა და მასალების ღირებულება ისეთი სისტემის შექმნით, რომელიც უზრუნველყოფს მათი მომსახურების *ხანგრძლივობას*, ოპტიმალურ გამოყენებას ან ხელახლა გამოყენებას, აღდგენას, ხელახლა წარმოებას,

*რეციკლირებას* და საკვები ნივთიერებების წრებრუნვას.

4. წინამდებარე სტანდარტი ეყრდნობა ევროკავშირის შესაბამის საკანონმდებლო ჩარჩოებსა და *პოლიტიკას*, მათ შორის ევროკავშირის ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმას, ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივას 2008/98 EC-ს<sup>1</sup> (ნარჩენების მართვის ჩარჩო-დირექტივა) და ევროკავშირის სამრეწველო სტრატეგიას.
5. ბიზნესის წარმართვის ტრადიციული მეთოდებიდან, ანუ ისეთი ეკონომიკიდან, სადაც პროდუქტების საწარმოებლად შეზღუდული რესურსების მოპოვება ხდება, რომლებიც გამოიყენება და შემდეგ გადაიყრება („აიღე-გააკეთე-გადაყარე“) ცირკულარულ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის შესაფასებლად წინამდებარე სტანდარტი ეყრდნობა საწარმოს მიერ გამოყენებული და შექმნილი რესურსების, მასალებისა და პროდუქტების ფიზიკური ნაკადების იდენტიფიკაციას, ინფორმაციის გამჟღავნების E5-4 მოთხოვნის „შემოდინებული რესურსები“ და E5-5 მოთხოვნის – „გადინებული რესურსები“ – მეშვეობით.

## ურთიერთქმედება სხვა ESRS-ებთან

6. რესურსების გამოყენება გარემოზე სხვა სახის ზემოქმედების გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, როგორც არის, მაგალითად კლიმატის ცვლილება, *დაბინძურება*, წყალი და *საზღვაო რესურსები* და ბიომრავალფეროვნება. *ცირკულარული ეკონომიკა* ისეთი სისტემაა, რომელიც მიმართულია რესურსების მდგრად გამოყენებაზე მათი მოპოვებისას, გადამუშავებისას, წარმოებისას, მოხმარებისა და *ნარჩენების* მართვისას. ამგვარ სისტემას მრავალი სარგებლის მოტანა შეუძლია გარემოს დაცვის თვალსაზრისით, კერძოდ, მასალებისა და ენერჯის მოხმარების და ჰაერში მავნე *ემისიების* შემცირება (სათბურის აირების ემისიები და სხვა სახის დაბინძურება), *წყალაღებისა* და *წყალჩაშვების* შეზღუდვა, ასევე ბუნების *რეგენერაცია*, რაც ზღუდავს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებას.
7. სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად იმის შესახებ, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სხვა რომელი საკითხები შეიძლება იყოს არსებითი რესურსების გამოყენებისა და ცირკულარული ეკონომიკისთვის, გარემოს დაცვის სხვა ESRS-ები მოიცავს ინფორმაციის გამჟღავნების შესაბამის მოთხოვნებს. ასე მაგალითად:
  - ა) ESRS E1 – „*კლიმატის ცვლილება*“, რომელიც კონკრეტულად სათბურის აირების *ემისიებსა* და ენერგორესურსებს (ენერჯის მოხმარებას) ეხება;
  - ბ) ESRS E2 – „*დაბინძურება*“, რომელიც კონკრეტულად ეხება ემისიებს წყალში, ჰაერსა და *წიაღებში*, ასევე *სახიფათო ნივთიერებებს*;
  - გ) ESRS E3 – „*წყალი და საზღვაო რესურსები*“, რომელიც კონკრეტულად წყლის რესურსებსა (წყლის მოხმარებას) და საზღვაო რესურსებს ეხება; და
  - დ) ESRS E4 – „*ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები*“, რომელიც კონკრეტულად ეკოსისტემებს, სახეობებსა და ნედლეულს ეხება.
8. რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებულმა საწარმოს ზემოქმედებამ, კერძოდ, *ნარჩენებთან* დაკავშირებულმა ზემოქმედებამ შეიძლება გავლენა იქონიოს ადამიანებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებზე. რესურსების გამოყენებისა და ცირკულარული ეკონომიკის *ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე* არსებითი უარყოფითი ზემოქმედება, რომელიც მოცემულ საწარმოსთანაა დაკავშირებული, განხილულია ESRS S3-ში – „*ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები*“. რესურსების ეფექტიან და ცირკულარულ გამოყენებას სარგებელი მოაქვს ასევე კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური კეთილდღეობისთვის.
9. წინამდებარე სტანდარტი უნდა განიხილებოდეს ESRS 1-სა – „*ზოგადი მოთხოვნები*“ და ESRS 2-თან – „*ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები*“ – ერთად.

1. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 19 ნოემბრის დირექტივა 2008/98/EC ნარჩენებისა და ზოგიერთი დირექტივის გაუქმების შესახებ. Directive 2008/98/EC of the European Parliament and of the Council of 19 November 2008 on waste and repealing certain Directives (OJ L 312, 22.11.2008, p. 3).

**ESRS 2 – „ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“**

10. ამ განყოფილების მოთხოვნები უნდა განიხილებოდეს ESRS 2-ის მე-4 თავის – „ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა“ – მოთხოვნების შესაბამისად გამჟღავნებულ ინფორმაციასთან ერთად.

**ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა**

**ESRS 2-ის IRO-1 ნაწილთან – „არსებითი რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესების აღწერა“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა**

---

11. საწარმომ უნდა აღწეროს პროცესი, რომელიც განკუთვნილია რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად, კერძოდ, რომლებიც ეხება შემოდინებულ რესურსებს, გადინებულ რესურსებსა და ნარჩენებს და წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) საწარმომ ჩაატარა თუ არა თავისი აქტივებისა და საქმიანობების ანალიზი, რათა გამოეკვლინა თავისი ფაქტობრივი და პოტენციური ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები საკუთარ საქმიანობასა და აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში, ხოლო თუ ასეა, უნდა აღწეროს, რა მეთოდოლოგია, დაშვებები და ინსტრუმენტები გამოიყენა ანალიზში;
  - ბ) გაიარა თუ არა საწარმომ კონსულტაციები, კერძოდ, ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან, ხოლო თუ გაიარა, როგორ.

**ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა E5-1 – „რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული პოლიტიკები“**

---

12. საწარმომ უნდა აღწეროს პოლიტიკები, რომლებიც დადგენილი აქვს რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვისთვის.
13. ზემოაღნიშნული მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმის შესახებ, აქვს თუ არა საწარმოს პოლიტიკა რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად, შესაფასებლად, მათი მართვის ან/და რემედიაციისთვის და რას მოიცავს ეს პოლიტიკა.
14. მე-12 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ESRS 2-ის MDR-P ნაწილის – „მდგრადობის არსებითი საკითხების მართვის მიზნით შემოღებული პოლიტიკები“ – შესაბამისად გამჟღავნებულ ინფორმაციას რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული საწარმოს არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვისთვის განკუთვნილი პოლიტიკის შესახებ.
15. რეზიუმეში საწარმომ უნდა მიუთითოს, მისი პოლიტიკა ითვალისწინებს თუ არა და როგორ ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს, თუ ეს საკითხები მისთვის არსებითია:
- ა) პირველადი რესურსების გამოყენებისთვის თავის არიდება, მათ შორის მეორადი (გადამუშავებული) რესურსების გამოყენების ზრდა;
  - ბ) განახლებადი რესურსების მდგრადი მოპოვება და გამოყენება.
16. პოლიტიკა უნდა ეხებოდეს საწარმოს არსებით ზემოქმედებას, რისკებსა და შესაძლებლობებს მის ოპერაციებსა და აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში.

*ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა E5-2 – „რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები“*

---

17. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული ქმედებებისა და მათი განხორციელებისთვის გამოყოფილი რესურსების შესახებ.
18. ზემოაღნიშნული მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან საწარმოს მიერ განხორციელებული და დაგეგმილი იმ ძირითადი ქმედებების შესახებ, რომლებიც მიმართულია რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული საწარმოს *პოლიტიკის* მიზნებისა და *სამიზნე მაჩვენებლების* მიღწევაზე.
19. რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული *ქმედებების* და მათი განხორციელებისთვის გამოყოფილი რესურსების აღწერისას საწარმომ უნდა დაიცვას ESRS 2-ის MDR-A ნაწილში – *„მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები“* – განსაზღვრული პრინციპები.
20. ESRS 2-ის MDR-A ნაწილის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაციის გარდა, საწარმოს შეუძლია ასევე მიუთითოს, მისი ქმედებები და რესურსები ითვალისწინებს თუ არა და როგორ ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:
  - ა) ტექნიკური და ბიოლოგიური მასალების და წყლის გამოყენებისას რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, კერძოდ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნედლეულსა და ნიადაგის იშვიათ ელემენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩამოთვლილია ნედლეულის საინფორმაციო სისტემაში (Raw Materials Information System);
  - ბ) მეორადი (გადამუშავებული) ნედლეულის გამოყენების უფრო მაღალი მაჩვენებლები;
  - გ) ცირკულარული დაპროექტების მიდგომების გამოყენებას, რომელიც იწვევს პროდუქტის *მომსახურების ვადის* გაზრდას და მისი გამოყენების ოპტიმიზაციას, ასევე ხელახლა გამოყენების, შეკეთების, აღდგენის, წარმოებაში ხელახლა ჩაშვების, სხვა დანიშნულებით გამოყენებისა და რეციკლირების კოფეციენტების/მაჩვენებლების ამაღლება;
  - დ) ბიზნესის წარმართვის ცირკულარული მეთოდების გამოყენება, როგორც არის, მაგალითად, (i) პროდუქტის ღირებულების შენარჩუნებაზე მიმართული ქმედებები (ტექნომსახურება, შეკეთება, აღდგენა, ხელახლა წარმოება, კომპონენტების შეგროვება, განახლება და უკულოჯისტიკა, დახურული ცირკულაციის სისტემები, მეორადი საქონლით საცალო ვაჭრობა), (ii) ქმედებები, რომლებიც მიმართულია ღირებულების მაქსიმალურად გაზრდაზე (პროდუქტი – მომსახურების სისტემები, ურთიერთთანამშრომლობისა და ერთობლივი გამოყენების ეკონომიკის ბიზნესმოდელები), (iii) ქმედებები, რომლებიც ხორციელდება პროდუქტის მომსახურების ვადის დასრულებისას (*რეციკლირება*, მეორადი გამოყენება, მწარმოებლის მიერ ან მწარმოებლის ჩარევით, მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობა) და (iv) ქმედებები, რომლებიც მიმართულია სისტემების ეფექტიანობის ამაღლებაზე (სამრეწველო სიმბიოზი);
  - ე) ქმედებები, რომლებიც *ნარჩენების* წარმოქმნის პრევენციისთვის განხორციელდა საწარმოს აღმაავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში; და
  - ვ) *ნარჩენების მართვის* ოპტიმიზაცია *ნარჩენების იერარქიის* შესაბამისად.

*მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები*

*ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა E5-3 – „რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები“*

---

21. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებით დადგენილი სამიზნე მაჩვენებლების შესახებ.

22. ზემოაღნიშნული მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმ **სამიზნე მაჩვენებლების** შესახებ, რომლებიც საწარმოს დადგენილი აქვს რესურსების გამოყენებასა და **ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული პოლიტიკის** რეალიზებისა და არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გასათვალისწინებლად.
23. **სამიზნე მაჩვენებლების** აღწერისას გათვალისწინებული უნდა იყოს ESRS 2-ის MDR-T ნაწილში – „**პოლიტიკებისა და ქმედებების ეფექტიანობისთვის თვალყურის დევნება სამიზნე მაჩვენებლების საშუალებით**“ – განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები.
24. 21-ე პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს, საწარმოს **სამიზნე მაჩვენებლები** დაკავშირებულია თუ არა და როგორ **შემოდინებულ და გადინებულ რესურსებთან**, მათ შორის **ნარჩენებთან**, პროდუქტებსა და მასალებთან, უფრო კონკრეტულად კი:
- ა) ცირკულარული პროდუქტების დაპროექტების ზრდასთან (მათ შორის, მაგალითად, დაპროექტება პროდუქტის **მომსახურების** ვადის, დემონტაჟის, შეკეთების, გადამუშავების და ა.შ. შესაძლებლობის გათვალისწინებით);
  - ბ) **ცირკულარული მასალების გამოყენების მაჩვენებლის** ზრდასთან;
  - გ) პირველადი ნედლეულის გამოყენების მაქსიმალურად შემცირებასთან;
  - დ) განახლებადი რესურსების მდგრად მოპოვებასა და გამოყენებასთან (კასკადირების პრინციპის შესაბამისად);
  - ე) **ნარჩენების მართვასთან**, მათ შორის სათანადო დამუშავებისთვის მათ მომზადებასთან; და
  - ვ) სხვა საკითხებთან, რომლებიც დაკავშირებულია რესურსების გამოყენებასთან ან ცირკულარულ ეკონომიკასთან.
25. საწარმომ უნდა მიუთითოს, **ნარჩენების იერარქიის** რომელ დონეს მიეკუთვნება კონკრეტული სამიზნე მაჩვენებელი.
26. ESRS 2-ის MDR-T ნაწილის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაციის გარდა, საწარმოს შეუძლია მიუთითოს, **სამიზნე მაჩვენებლების** დადგენისას გათვალისწინებული იყო თუ რა **ეკოლოგიური ზღვრები** და კონკრეტულად საწარმოზე მისაკუთვებელი მისი მნიშვნელობები. თუ ასეა, საწარმოს შეუძლია მიუთითოს:
- ა) გამოვლენილი ეკოლოგიური ზღვრები და მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენა ამგვარი ზღვრების დასადგენად;
  - ბ) ეს ზღვრები მხოლოდ საწარმოსთვის არის შესაფერისი თუ არა, ხოლო თუ ასეა, როგორ განისაზღვრა ისინი; და
  - გ) დადგენილი ეკოლოგიური ზღვრების დაცვაზე პასუხისმგებლობა როგორ არის განაწილებული საწარმოში.
27. საწარმომ კონტექსტურ ინფორმაციაში უნდა მიუთითოს, მის მიერ დადგენილი და წარმოდგენილი **სამიზნე მაჩვენებლები** სავალდებულო ხასიათისაა (მოთხოვნილია კანონმდებლობით), თუ ნებაყოფლობითი.

#### ***ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა E5-4 – „შემოდინებული რესურსები“***

28. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმ შემოდინებული რესურსების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მის არსებით ზემოქმედებასთან, რისკებსა და შესაძლებლობებთან.
29. ამ მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან საწარმოს საკუთარ ოპერაციებსა და მის აღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში გამოყენებული რესურსების შესახებ.
30. 28-ე პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს საწარმოში **შემოდინებული რესურსების** აღწერას, თუ ისინი არსებითია: პროდუქტები (მათ შორის **შესაფუთი მასალა**) და მასალები (სადაც

გამოყოფილი უნდა იყოს განსაკუთრებული მნიშვნელობის ნედლეული და ნიადაგის იშვიათი ელემენტები), წყალი და ძირითადი საშუალებები, რომლებიც საწარმომ გამოიყენა თავის ოპერაციებსა და აღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში.

31. როდესაც საწარმო შეაფასებს და დაადგენს, რომ *შემოდინებული რესურსები* მდგრადობის არსებითი საკითხია, მან უნდა გაამყავნოს შემდეგი ინფორმაცია იმ მასალების შესახებ, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამოიყენა პროდუქტებისა და მომსახურების საწარმოებლად, ტონებში ან კილოგრამებში გამოსახული:
- ა) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული პროდუქტების, ტექნიკური და ბიოლოგიური მასალების მთლიანი წონა;
  - ბ) პროდუქტებისა და მომსახურების (მათ შორის *შესაფუთი მასალა*) საწარმოებლად გამოყენებული იმ ბიოლოგიური მასალების (და ბიოსაწვავის, რომელიც გამოიყენება არაენერგეტიკული მიზნებისთვის) ხვედრითი წილი, რომელიც მიღებულია მდგრადი წყაროებიდან, ასევე ინფორმაცია გამოყენებული სერტიფიკაციის სქემისა და კასკადირების პრინციპის გამოყენების შესახებ; და
  - გ) საწარმოს პროდუქტებისა და მომსახურების (მათ შორის შესაფუთი მასალის) საწარმოებლად გამოყენებული მეორადი, განმეორებით გამოყენებული ან რეციკლირებული კომპონენტების, მეორადი შუალედური პროდუქტების და მეორადი მასალების წონა როგორც აბსოლუტურ, ისე პროცენტულ მაჩვენებლებში.
32. საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ამ მონაცემების გამოსათვლელად გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ. მან უნდა მიუთითოს, ეს მონაცემები უშუალო გაზომვის შედეგად არის მიღებული, თუ შეფასების მეშვეობით და გაამყავნოს ინფორმაცია გამოყენებული ძირითადი დაშვებების შესახებ.

***ინფორმაციის გამყავნების მოთხოვნა E5-5 – „გადინებული რესურსები“***

33. საწარმომ უნდა გაამყავნოს ინფორმაცია მის არსებით ზემოქმედებასთან, რისკებსა და შესაძლებლობებთან დაკავშირებული გადინებული რესურსების, მათ შორის ნარჩენების შესახებ.
34. ამ მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან შემდეგი საკითხების შესახებ:
- ა) როგორ შეაქვს საწარმოს წვლილი ცირკულარულ ეკონომიკაში: (i) ქმნის *ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების* შესაბამის პროდუქციას და მასალებს; და (ii) ზრდის ან მაქსიმალურად ზრდის პროდუქტების, მასალებისა და *ნარჩენების* დამუშავების რეციკულაციის ხარისხს პრაქტიკაში პირველადი გამოყენების შემდეგ; და
  - ბ) საწარმოს სტრატეგია, რომელიც ეხება ნარჩენების შემცირებასა და *ნარჩენების მართვას*, ასევე რამდენად არის ინფორმირებული საწარმო იმის თაობაზე, როგორ ხდება პროდუქტის მოხმარებამდე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა მის საქმიანობაში.

**პროდუქტები და მასალები**

35. საწარმომ უნდა წარმოადგინოს იმ ძირითადი პროდუქტებისა და მასალების აღწერა, რომლებიც გამოდის საწარმოს საწარმოო პროცესიდან და დამუშავებულია ცირკულაციის პრინციპებით, როგორც არის *მომსახურების ვადა*, ხელახლა გამოყენება, შეკეთება, დემონტაჟი, ხელახლა წარმოება, აღდგენა, *რეციკლირება*, რეციკულაცია ბიოლოგიური ციკლის მეშვეობით, ან პროდუქტის ან მასალის გამოყენების ოპტიმიზაცია სხვა ცირკულარული ბიზნესმოდელების მეშვეობით.
36. საწარმომ, რომლისთვისაც გადინებული რესურსები არსებითია, უნდა გაამყავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) იმ პროდუქტების მოსალოდნელი *მომსახურების ვადა*, რომლებიც საწარმოს გააქვს ბაზარზე, პროდუქტების თითოეული ჯგუფის დარგის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით;
  - ბ) პროდუქტები, რომლებიც შეკეთებას ექვემდებარება, დადგენილი შეფასების სისტემის შესაბამისად, როდესაც ეს შესაძლებელია;

- გ) პროდუქტებისა და მათი *შესაფუთი მასალის* შემადგენლობაში რეციკლირებული კომპონენტების მაჩვენებლები.

## ნარჩენები

37. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია საკუთარი საქმიანობიდან წარმოქმნილი *ნარჩენების* მთლიანი ოდენობის შესახებ, ტონებში ან კილოგრამებში:
- ა) წარმოქმნილი ნარჩენების მთლიანი რაოდენობა;
  - ბ) მთლიანი რაოდენობა წონის მიხედვით ნარჩენების, რომლებიც არ გაიგზავნა უტილიზაციისთვის, სადაც გამოყოფილი იქნება *სახიფათო* და არასახიფათო *ნარჩენები*, ასევე მონაცემები *აღდგენითი* ღონისძიების შემდეგი კატეგორიების მიხედვით:
    - i ხელახლა გამოყენებისთვის მომზადება;
    - ii. *რეციკლირება*; და
    - iii. სხვა ტიპის აღდგენითი ოპერაციები.
  - გ) უტილიზაციისთვის გაგზავნილი ნარჩენების მთლიანი რაოდენობა წონის მიხედვით, ნარჩენების დამუშავების ტიპის მიხედვით და ასევე მთლიანი რაოდენობა სამივე ტიპის ნარჩენების, სადაც ცალ-ცალკე იქნება გამოყოფილი *სახიფათო* და არასახიფათო *ნარჩენები*. ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს ნარჩენების დამუშავების შემდეგი ტიპების შესახებ:
    - i *დაწვა*;
    - ii. ნაგავსაყრელზე განთავსება; და
    - iii. უტილიზაციის სხვა ოპერაციები;
  - დ) ისეთი ნარჩენების მთლიანი რაოდენობა და ხვედრითი წილი, რომლის რეციკლირებაც არ განხორციელდა<sup>2</sup>.
38. როდესაც საწარმო ინფორმაციას ამჟღავნებს *ნარჩენების* შემადგენლობის შესახებ, მან უნდა მიუთითოს:
- ა) მისი სექტორის ან საქმიანობის შესაფერისი ნარჩენების ნაკადები (მაგალითად, ნაყარი („კუდები“) სამთო მომპოვებელი დარგის საწარმოსთვის, ელექტრონული ნარჩენები *საყოფაცხოვრებო* ელექტრონული საქონლის მწარმოებელი სექტორის საწარმოსთვის ან საკვები ნარჩენები სოფლის მეურნეობის დარგის ან სტუმარ-მასპინძლობის სექტორის საწარმოსთვის.); და
  - ბ) მასალები, რომლებიც არსებობს ნარჩენებში (მაგალითად, ბიომასა, ლითონები, არალითონის მინერალები, პლასტმასები, ტექსტილი, განსაკუთრებული მნიშვნელობის ნედლეული და ნიადაგის იშვიათი ელემენტები).
39. გარდა ამისა, საწარმომ ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს *სახიფათო ნარჩენების* და რადიოაქტიური ნარჩენების მთლიანი რაოდენობის შესახებ, რომელსაც საწარმო წარმოქმნის, თუ ეს რადიოაქტიური ნარჩენები მითითებულია საბჭოს დირექტივის 2011/70/ევრატომი 3(7) მუხლში.<sup>3</sup>
40. საწარმომ უნდა წარმოადგინოს კონტექსტური ინფორმაცია მონაცემების გამოსათვლელად გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ, კერძოდ კი 35-ე პუნქტში აღწერილი ცირკულაციის პრინციპების შესაბამისად დამუშავებული პროდუქტების განსაზღვრისა და კლასიფიკაციისათვის გამოყენებული კრიტერიუმებისა

2. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი მაჩვენებლიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის II ცხრილში მოცემული #13 მაჩვენებლით („კოეფიციენტი ნარჩენების, რომლის რეციკლირება არ განხორციელდა“) („Non-recycled waste ratio“).

3. 2011 წლის 19 ივლისის საბჭოს დირექტივა 2011/70 ევრატომი (Council Directive 2011/70/Euratom of 19 July 2011) ადგენს თანამეგობრობის სტრუქტურას ნახშირი საწვავის და რადიოაქტიური ნარჩენების პასუხისმგებლობაში და უსაფრთხო მართვისათვის (OJ L 199, 2.8.2011, გვ. 48). ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული სავალდებულო მაჩვენებლიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის I ცხრილში მოცემული #9 მაჩვენებლით („სახიფათო ნარჩენებისა და რადიოაქტიური ნარჩენების თანაფარდობა“) („Hazardous waste and radioactive waste ratio“).

და დაშვებების შესახებ. მან უნდა მიუთითოს, ეს მონაცემები უშუალო გაზომვის შედეგად არის მიღებული, თუ შეფასებით და გაამყდვენოს ინფორმაცია გამოყენებული ძირითადი დაშვებების შესახებ.

***ინფორმაციის გამყდვენების მოთხოვნა E5-6 – „არსებითი რესურსების გამოყენებიდან და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული რისკებიდან და შესაძლებლობებიდან მოსალოდნელი ფინანსური შედეგები“***

41. საწარმომ უნდა გაამყდვენოს ინფორმაცია რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი არსებითი რისკებიდან და შესაძლებლობებიდან მოსალოდნელი ფინანსური შედეგების შესახებ.
42. 41-ე პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია ავსებს ESRS 2-ის SBM-3 ნაწილის 48(დ) პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად გამყდვენებულ ინფორმაციას მიმდინარე ფინანსური გავლენის შესახებ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. ამ მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან შემდეგი საკითხების შესახებ:
  - ა) ***მოსალოდნელი ფინანსური შედეგები***, რომლებიც განპირობებულია არსებითი რესურსების გამოყენებასა და ***ცირკულარულ ეკონომიკასთან*** დაკავშირებული ზემოქმედებისა და ***დამოკიდებულების*** შედეგად წარმოქმნილი არსებითი ***რისკებით***, ასევე როგორ ახდენს ეს რისკები არსებით გავლენას საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე, ან, გონივრულ ფარგლებში, როგორ შეიძლება, რომ მოახდინოს ამგვარი გავლენა ამ რისკებმა მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში; და
  - ბ) მოსალოდნელი ფინანსური შედეგები, რომლებიც განპირობებულია რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული არსებითი შესაძლებლობებით.
43. ზემოაღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:
  - ა) ***მოსალოდნელი ფინანსური შედეგების*** რაოდენობრივ შეფასებას ფულად გამოხატულებაში, რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული ქმედებების გათვალისწინებამდე, ან როდესაც ამის განსაზღვრა შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე – ხარისხობრივ ინფორმაციას. არსებითი შესაძლებლობებიდან წარმოქმნილი ***ფინანსური შედეგების*** რაოდენობრივი შეფასება არ მოითხოვება, თუ ეს გამოიწვევს ისეთი ინფორმაციის გამყდვენებას, რომელიც არ აკმაყოფილებს ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს. (იხ. ESRS 1, დანართი „ბ“ – „*ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები*“);
  - ბ) გათვალისწინებული შედეგების, ზემოქმედებისა და დამოკიდებულების აღწერას, რომელთაგან დაკავშირებულია ეს ფინანსური შედეგები, ასევე იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია სავარაუდოდ მათი მატერიალიზება;
  - გ) ***მოსალოდნელი ფინანსური შედეგების*** რაოდენობრივი შეფასებისთვის გამოყენებული განსაკუთრებული მნიშვნელობის დაშვებების, ასევე ამ დაშვებების წყაროებისა და დაკავშირებული განუსაზღვრელობის დონის აღწერას.

**დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები**

წინამდებარე დანართი ESRS E5-ის განუყოფელი ნაწილია. იგი ხელს უწყობს ამ სტანდარტით დადგენილი ინფორმაციის გამყდვენების მოთხოვნების პრაქტიკაში გამოყენებას და ისეთივე ძალა აქვს, რაც ამ სტანდარტის დანარჩენ ნაწილებს.

***ESRS 2 – „ინფორმაციის გამყდვენების საერთო მოთხოვნები“***

***ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა***

**ESRS 2-ის IRO-1 ნაწილთან – „არსებითი რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესების აღწერა“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა**

- გმ1. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ქვეთემების **არსებითობის** შეფასებისას საწარმომ უნდა შეაფასოს საკუთარ ოპერაციებსა და თავის აღმავალ და დადმავალ ღირებულებათა ჯაჭვში გამოყენებული რესურსებისა და ცირკულარული ეკონომიკის არსებითობა, ასევე შეუძლია გაითვალისწინოს ქვემოთ აღწერილი 4 ეტაპი, რომელსაც ზოგჯერ LEAP მიდგომას (ამ ეტაპების შესაბამისი ქმედებების აკრონიმი ინგლისურად) უწოდებენ:
- ა) 1-ელი ეტაპი: საწარმოს საკუთარ ოპერაციებსა და მის აღმავალ და დადმავალ **ღირებულებათა ჯაჭვში** ბუნებასთან ურთიერთქმედების ზუსტი ადგილის განსაზღვრა;
  - ბ) მე-2 ეტაპი: **დამოკიდებულებისა** და ზემოქმედების შეფასება;
  - გ) მე-3 ეტაპი: არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების შეფასება;
  - დ) მე-4 ეტაპი: არსებითობის შეფასების შედეგების მომზადება და წარდგენა.
- გმ2. რაც შეეხება ESRS E5-ს, 1-ელი და მე-2 ეტაპების შეფასებები ძირითადად ეყრდნობა **არსებითობის** შეფასებებს, რომლებიც განხორციელდა ESRS E1-ის (მათ შორის ენერჯის მოხმარება), ESRS E2-ის (დაბინძურება), ESRS E3-ის (საზღვაო რესურსები, წყლის მოხმარება) და ESRS E4-ის (ბიომრავალფეროვნება, ეკოსისტემები, ნედლეული) შესაბამისად. ცხადია, საბოლოო ჯამში, **ცირკულარული ეკონომიკა** მიმართულია გარემოზე პროდუქტების, მასალებისა და სხვა რესურსების გამოყენების ზემოქმედების შემცირებაზე, **ნარჩენებისა** და სახიფათო **ნივთიერებების** გამოყოფის მინიმუმაციაზე და, მაშასადამე, ბუნებაზე ზემოქმედების შემცირებაზე. სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებული ეს მოთხოვნა ძირითადად მიმართულია LEAP მიდგომის მესამე ეტაპზე, ხოლო მეოთხე ეტაპი ეხება პროცესის შედეგებს.
- გმ3. **ზემოქმედების, დამოკიდებულების, რისკებისა და შესაძლებლობების არსებითობის** შეფასების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ESRS 2-ის IRO-1 ნაწილის – „არსებითი რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესების აღწერა“ და IRO-2 ნაწილის – „ESRS-ების გამჟღავნების მოთხოვნები, რომლებსაც აკმაყოფილებს საწარმოს მდგრადობის ანგარიშგება“ – დებულებები.
- გმ4. **არსებითობის** შეფასება მოიცავს რესურსების გამოყენებასა და **ცირკულარულ ეკონომიკასთან** დაკავშირებულ შემდეგ ქვეთემებს:
- ა) **შემოდინებული რესურსები**, მათ შორის არსებითი რესურსების შემოდინების ციკლოზობა, რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის, მასალებისა და პროდუქტების, ასევე განახლებადი და არაგანახლებადი რესურსების გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით;
  - ბ) **გადინებული რესურსები**, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქტებსა და მომსახურებასთან; და
  - გ) **ნარჩენები**, მათ შორის სახიფათო ნარჩენებისა და არასახიფათო **ნარჩენების მართვა**.
- გმ5. მე-3 ეტაპზე არსებითი **რისკებისა** და **შესაძლებლობების** შესაფასებლად საწარმომ 1-ელ და მე-2 ეტაპზე მიღებული შედეგების საფუძველზე შეუძლია:
- ა) განსაზღვროს **გარდამავალი რისკები** და შესაძლებლობები საკუთარი ოპერაციებისა და თავისი აღმავალი და დადმავალი **ღირებულებათა ჯაჭვისთვის**, მათ შორის, რისკი იმისა, რომ საწარმოს საქმიანობა ჩვეული **სცენარით** გაგრძელდება:
    - i **პოლიტიკური** და სამართლებრივი, მაგ., არაგანახლებადი რესურსების მოპოვებისა და გამოყენების აკრძალვა, **ნარჩენების** დამუშავებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები;
    - ii. ტექნოლოგიური, მაგ., ბაზარზე ახალი ტექნოლოგიების გამოჩენა პროდუქტებისა და მასალების არსებული გამოყენების ჩასანაცვლებლად;
    - iii. საბაზრო, მაგ., მიწოდების, მოთხოვნისა და დაფინანსების ცვლილება;

- iv. რეპუტაციული, მაგ., საზოგადოების, მომხმარებლების ან საზოგადოების გარკვეული ჯგუფების შეხედულებების შეცვლა;
  - ბ) გამოავლინოს **ფიზიკური რისკები**, მათ შორის მარაგების ამოწურვა და პირველადი და არაპირველადი განახლებადი რესურსების, ასევე არაგანახლებადი რესურსების გამოყენება;
  - გ) განსაზღვროს შესაძლებლობები, რომლებიც კლასიფიცირებული იქნება შემდეგი ნიშნით:
    - i რესურსეფექტიანობა, მაგ., უფრო ეფექტიან მომსახურებასა და პროცესებზე გადასვლა, რომლებიც ნაკლებ რესურსებს მოითხოვს, ეკოლოგიური კონსტრუქცია **ხანგრძლივობისთვის**, შეკეთება, ხელახლა გამოყენება, რეციკლირება, თანმდევი პროდუქტები, „აიდე-დააბრუნე“ სისტემები, საქმიანობის გამოყოფა მასალების მოპოვებისგან, მასალების ცირკულარული გამოყენების ინტენსიფიკაცია, ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც დემატერიალიზაციის საშუალებას იძლევა (მაგ., გაციფრულება, უტილიზაციის დონეების გაუმჯობესება, წონის შემცირება); მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს პროდუქტებისა და მასალების შეგროვებას, დახარისხებას და ხელახლა გამოყენებას, შეკეთებას, აღდგენას და წარმოებაში ხელახლა ჩაშვებას;
    - ii. ბაზრები: მაგ., მოთხოვნა ნაკლებად რესურსტევად პროდუქტებსა და მომსახურებაზე და მოხმარების ახალი მოდელები, როგორც არის „პროდუქტი, როგორც მომსახურება“, „გადახდა გამოყენებისთვის“, ერთობლივი გამოყენება, იჯარა;
    - iii. დაფინანსება: მაგ., წვდომა მწვანე ფულად სახსრებზე, ობლიგაციებზე ან სესხებზე;
    - iv. მედეგობა: მაგ., რესურსებისა და საქმიანი აქტივობის დივერსიფიკაცია (მაგ., ახალი ბიზნეს-რთეულის შექმნა ახალი მასალების გადასამუშავებლად), ინვესტიციების განხორციელება მწვანე ინფრასტრუქტურაში, **რეციკლირებისა** და ცირკულარული მექანიზმების დანერგვა, რომლებიც ამცირებს **დამოკიდებულებას** საწარმოს უნარი, დაიცვას სამომავლო მარაგები და რესურსების ნაკადები; და
    - v. რეპუტაცია.
- გმ6. საკუთარ ოპერაციებსა და თავის ადმინისტრაციულ და დადამხმარებელ **ღირებულებათა ჯაჭვში ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** შეფასებისას საწარმოს შეუძლია ქვემოთ აღწერილი მეთოდოლოგიების გათვალისწინება:
- ა) კომისიის რეკომენდაცია 2022/79 „**ეკოლოგიური კვალის შეფასების მეთოდების გამოყენების შესახებ პროდუქტებისა და ორგანიზაციების სასიცოცხლო ციკლის ეკოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრისა და ინფორმირებისთვის**“ (დანართი 1 – პროდუქტის ეკოლოგიური კვალი; დანართი 3 – ორგანიზაციის ეკოლოგიური კვალი); და
  - ბ) ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული „მასალების ნაკადების ანალიზი“.
- გმ7. როდესაც საწარმო ინფორმაციას წარმოადგენს ამა თუ იმ **არსებითი** შედეგის შეფასების შესახებ, მან უნდა გაითვალისწინოს:
- ა) იმ ბიზნეს-რთეულების სია, რომლებიც დაკავშირებულია რესურსების გამოყენებასა და **ცირკულარულ ეკონომიკასთან** დაკავშირებულ საწარმოს არსებით ზემოქმედებასთან, რისკებსა და შესაძლებლობებთან მისი პროდუქტისა და მომსახურების, ასევე საწარმოს მიერ წარმოქმნილი **ნარჩენების** კონტექსტში;
  - ბ) საწარმოს მიერ გამოყენებული არსებითი რესურსების სია და მათი პრიორიტეტულობა;
  - გ) არსებითი ზემოქმედება და რისკები – ალბათობა იმისა, რომ საწარმოს საქმიანობა ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება;
  - დ) ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული არსებითი შესაძლებლობები;
  - ე) ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედება და რისკები; და

- 3) **ღირებულებათა ჯაჭვის** ის ეტაპები, სადაც კონცენტრირებულია რესურსების გამოყენება, რისკები და უარყოფითი ზემოქმედება.

**ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა E5-1 – „რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული პოლიტიკები“**

- გმ8. ინფორმაციის გამჟღავნების წინამდებარე მოთხოვნაში აღწერილი პოლიტიკები შეიძლება ინტეგრირებული იყოს უფრო ფართო პოლიტიკაში, რომელიც ეხება გარემოს დაცვას ან მდგრად განვითარებას და მოიცავს სხვადასხვა ქვეთემას.
- გმ9. როდესაც საწარმო ინფორმაციას წარმოადგენს ამა თუ იმ პოლიტიკის შესახებ, მან უნდა განიხილოს, მისი პოლიტიკა ითვალისწინებს თუ არა და როგორ შემდეგ საკითხებს:
- ა) **ნარჩენების იერარქია:** (ა) პრევენცია; (ბ) მომზადება ხელახლა გამოყენებისთვის; (გ) **რეციკლირება;** (დ) **აღდგენის** სხვა ფორმები, მაგ., ენერჯის აღდგენა და (ე) უტილიზაცია. ამ კონტექსტში არ შეიძლება **ნარჩენების** დამუშავების მიჩნევა აღდგენად;
  - ბ) ნარჩენების დამუშავებასთან (რეციკლირება) დაკავშირებით პრიორიტეტების დადგენა ნარჩენების პრევენციის ან მინიმიზაციისთვის (ხელახლა გამოყენება, შეკეთება, აღდგენა, წარმოებაში ხელახლა ჩაშვება, სხვა დანიშნულებით გამოყენება). ასევე გასათვალისწინებელია ეკოდაპროექტების ცნებები<sup>4</sup>: ნარჩენები, როგორც რესურსი, ან მოხმარების შემდგომი ნარჩენები (**სამომხმარებლო პროდუქტის** სასიცოცხლო ციკლის ბოლოს).
- გმ10. პოლიტიკის შემუშავებისას საწარმოს შეუძლია იხელმძღვანელოს დოკუმენტით „კატეგორიზაციის სისტემა ცირკულარული ეკონომიკისთვის“ („Categorisation system for the circular economy“), სადაც აღწერილია პროდუქტის ცირკულარული დაპროექტებისა და წარმოების მოდელები, მოდელების ციკლური გამოყენება, ცირკულარული ღირებულების **აღდგენის** მოდელები და ცირკულარული ეკონომიკის მხარდაჭერა **ცირკულარული ეკონომიკის** 9 (ე.წ. „R“) სტრატეგიის ანუ პრინციპის შესაბამისად: უარის თქმა, ახლებური გამოყენება, შემცირება, წარმოებაში ხელახლა ჩაშვება, შეკეთება, აღდგენა, ხელახლა წარმოება, სხვა დანიშნულებით გამოყენება და რეციკლირება.

**ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა E5-2 – „რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები“**

- გმ11. როდესაც მე-17 პუნქტის მიხედვით წარადგენს ინფორმაციას და ითვალისწინებს, რომ რესურსები საერთოა და ამავე დროს **ცირკულარული ეკონომიკის** სტრატეგია შესაძლოა საჭიროებდეს ერთობლივ ქმედებებს, საწარმოს შეუძლია მიუთითოს ის **ქმედებები**, რომლებიც განახორციელა თავის აღმავალ და დაღმავალ **ღირებულებათა ჯაჭვთან** ან/და თავის ადგილობრივ ქსელთან ურთიერთქმედების კუთხით, თანამშრომლობის ან ინიციატივების იმგვარად განვითარების მიზნით, რაც ზრდის პროდუქტებისა და მასალების ცირკულაციის შესაძლებლობას.
- გმ12. კერძოდ, საწარმომ უნდა:
- ა) აღწეროს, როგორ შეაქვს მას წვლილი ცირკულარულ ეკონომიკაში, მათ შორის, მაგალითად, **ნარჩენების** შეგროვების ჭკვიანი/ინტელექტუალური სისტემების მეშვეობით;
  - ბ) მიუთითოს სხვა **დაინტერესებული მხარეები**, რომლებიც მონაწილეობდნენ ერთობლივ **ქმედებებში**: კონკურენტები, **მომწოდებლები**, საცალო მოვაჭრეები, მომხმარებლები, სხვა ბიზნესპარტნიორები, ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სახელისუფლებო ორგანოები, სახელმწიფო დაწესებულებები;

4. როგორც განსაზღვრულია 2009/125/EC დირექტივით. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის დირექტივა (Directive 2009/125/EC of the European Parliament and of the Council of 21 October 2009), რომელიც ადგენს ჩარჩოებს ენერჯისთან დაკავშირებული პროდუქტებისთვის ეკოლოგიური დაპროექტების მოთხოვნების განსაზღვრისთვის (OJ L 285, 31.10.2009, p. 10).

გ) მიუთითოს ერთობლივი ორგანიზაცია ან ინიციატივა, მათ შორის საწარმოს კონკრეტული წვლილი და პროექტში მონაწილე სხვადასხვა დაინტერესებული მხარის როლები.

გმ13. ზემოაღნიშნული *ქმედებები* შესაძლოა მოიცავდეს საწარმოს საკუთარ ოპერაციებს ან/და მის აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვს.

### მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

#### ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა E5-3 – „რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები“

- გმ14. თუ საწარმო *ეკოლოგიურ ზღვრებს* ითვალისწინებს *სამიზნე მაჩვენებლების* დასადგენად, მას შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელო, რომელიც დროებითი სახელმძღვანელოს სახით შემუშავებული აქვს მეცნიერულად დასაბუთებული სამიზნე მაჩვენებლების ქსელს (SBTN) „მეცნიერულად დასაბუთებული სამიზნე მაჩვენებლების ინიციატივა ბუნების შესახებ“ (ბიზნესის საწყისი სახელმძღვანელო, 2020 წლის სექტემბერი), ან სხვა ნებისმიერი სახელმძღვანელო, რომელიც მეცნიერულად აღიარებულ მეთოდოლოგიას ეყრდნობა და მეცნიერულად დასაბუთებული სამიზნე მაჩვენებლების დადგენის საშუალებას იძლევა ეკოლოგიური ზღვრებისა და, შესაბამის შემთხვევაში, კონკრეტულ ორგანიზაციაზე მისაკუთვნიებული მისი მნიშვნელობების განსაზღვრის საფუძველზე. ეკოლოგიური ზღვრები შესაძლოა იყოს ადგილობრივი, ქვეყნის მასშტაბის ან/და გლობალური.
- გმ15. თუ საწარმო ინფორმაციას წარმოადგენს *სამიზნე მაჩვენებლების* შესახებ, მან სამიზნე მაჩვენებლები პრიორიტეტებად უნდა დაეყოს აბსოლუტური მნიშვნელობების მიხედვით.
- გმ16. თუ საწარმო *სამიზნე მაჩვენებლების* შესახებ ინფორმაციას წარმოადგენს 24-ე პუნქტის შესაბამისად, მან უნდა გაითვალისწინოს პროდუქტებისა და მასალების წარმოების ფაზა, გამოყენების ფაზა და მათი ფუნქციონალური მომსახურების ვადის დასრულების თარიღი.
- გმ17. თუ საწარმო ინფორმაციას წარმოადგენს პირველად განახლებად ნედლეულთან დაკავშირებული *სამიზნე მაჩვენებლების* შესახებ 24 (გ) პუნქტის შესაბამისად, მან უნდა განიხილოს, ამ სამიზნე მაჩვენებლებმა როგორ შეიძლება იქონიოს გავლენა *ბიომრავალფეროვნების კარგვაზე*, მათ შორის ESRS E4-ის მოთხოვნების გათვალისწინებით.
- გმ18. საწარმოს შეუძლია ინფორმაციის გამჟღავნება სხვა *სამიზნე მაჩვენებლების* შესახებაც 24 (ვ) პუნქტის შესაბამისად, მათ შორის მდგრადი შესყიდვების/მიწოდების შესახებ. თუ საწარმო ამჟღავნებს ამგვარ ინფორმაციას, მან უნდა ახსნას, რას გულისხმობს ის მდგრადი მიწოდების განმარტებაში და როგორ არის ეს დაკავშირებული 22-ე პუნქტში განსაზღვრულ მიზანთან.
- გმ19. *სამიზნე მაჩვენებლები* შესაძლოა მოიცავდეს საწარმოს საკუთარ ოპერაციებს ან/და მის აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვს.
- გმ20. საწარმოს შეუძლია ასევე მიუთითოს, მოცემული სამიზნე მაჩვენებელი აღმოფხვრის თუ არა ცირკულარულ ეკონომიკაში არსებითი წვლილის კრიტერიუმებთან (Substantial Contribution criteria for Circular Economy) დაკავშირებულ ნაკლოვანებებს, როგორც ეს განმარტებულია ევროკავშირის (EC) 2020/852 რეგულაციის 13(2) მუხლის შესაბამისად მიღებულ დელეგირებულ აქტებში. როდესაც დაკმაყოფილებული არ არის ცირკულარული ეკონომიკის კრიტერიუმი „არ მივაყენოთ მნიშვნელოვანი ზიანი“ იმ სახით, როგორც განმარტებულია ამავე დოკუმენტის 10 (3), 11 (3), 12 (2), 14(2) და 15 (2) მუხლების შესაბამისად მიღებულ დელეგირებულ აქტებში, მაშინ საწარმოს შეუძლია მიუთითოს, სამიზნე მაჩვენებელი აღმოფხვრის თუ არა ზემოაღნიშნულ კრიტერიუმთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებს.

#### ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა E5-4 – „შემოდინებული რესურსები“

გმ21. *შემოდინებული რესურსები* შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ კატეგორიებს: საინფორმაციო ტექნოლოგიების (სტ) მოწყობილობა, ტექსტილი, ავეჯი, შენობები, მძიმე ტექნიკა, საშუალო ტექნიკა, მსუბუქი ტექნიკა, მძიმე ტრანსპორტი, საშუალო წონის ტრანსპორტი, მსუბუქი ტრანსპორტი და საწყობის აღჭურვილობა.

მასალებისთვის რესურსების შემოდინების მაჩვენებლებია: ნედლეული, *წარმოების პროცესთან დაკავშირებული მასალები*, ასევე ნახევარფაბრიკატები ან ნაწილები/დეტალები.

- გმ22. თუ საწარმოს მისადაგება 31-ე პუნქტი, მას ინფორმაციის წარმოდგენა შეუძლია იმ მასალების შესახებაც, რომელიც წარმოიქმნა *თანმდევ პროდუქტებიდან/ნარჩენებიდან*. (მაგ., იმ მასალის ჩამონაჭრები, რომლებიც ადრე გამოყენებული არ იყო პროდუქტში).
- გმ23. 31(ბ) და 31(გ) პუნქტებით მოთხოვნილი პროცენტული მაჩვენებლის მნიშვნელოვანი არის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული მასალების მთლიანი წონა.
- გმ24. ანგარიშგებაში წარმოდგენილი მასალების გამოყენების მონაცემები მასალას უნდა ასახავდეს საწყის მდგომარეობაში და არა შემდგომში შეცვლილი ციფრით, როგორც არის, მაგალითად „მშრალი წონა“.
- გმ25. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთმანეთს ემთხვევა ხელახლა გამოყენებული და რეციკლირებული მასალების კატეგორიები, საწარმომ უნდა მიუთითოს, როგორ აიცილა თავიდან აღრიცხვის დუბლირება და რა არჩევანი გააკეთა.

### ***ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა E5- 5 – „გადინებული რესურსები“***

---

- გმ26. ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს 35-ე პუნქტის შესაბამისად პროდუქტებისა და მასალების შესახებ, ეხება ყველა მასალასა და პროდუქტს, რომელიც გამოდის საწარმოს საწარმოო პროცესიდან და კომპანიას გააქვს ბაზარზე (მათ შორის *შესაფუთი მასალა*).
- გმ27. კონკრეტული კოფეციენტის/ხვედრითი წილის გამოთვლისას საწარმომ მნიშვნელოვან სახით უნდა გამოიყენოს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული მასალების მთლიანი წონა.
- გმ28. საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს ინფორმაცია თავისი მონაწილეობის შესახებ პროდუქტის მომსახურების ვადის გასვლისას წარმოქმნილი *ნარჩენების მართვაში*, მაგალითად, მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის ან „აილე-დააბრუნე“ სქემების მეშვეობით.
- გმ29. *ნარჩენების* ტიპებში უნდა მოიაზრებოდეს *სახიფათო* და არასახიფათო *ნარჩენების* კატეგორიები. ცალკე კატეგორიად შეიძლება წარმოდგენილი იყოს ასევე ზოგიერთი სპეციფიკური ნარჩენიც, მაგალითად რადიოაქტიური ნარჩენები.
- გმ30. როდესაც საწარმო იხილავს თავის სექტორებთან ან საქმიანობასთან დაკავშირებული *ნარჩენების* ნაკადებს, მას შეუძლია გაითვალისწინოს ნარჩენების აღწერილობის სია, რომელიც მოცემულია ევროპის ნარჩენების კატალოგში (European Waste Catalogue).
- გმ31. 37(ბ)iii პუნქტში მითითებული სხვა ტიპის *აღდგენითი* ოპერაციების მაგალითები მოცემულია ევროკავშირის 2008/98/EC დირექტივის II დანართში („ნარჩენების მართვის ჩარჩო-დირექტივა“).
- გმ32. 37(გ) iii პუნქტით გათვალისწინებული უტილიზაციის სხვა ოპერაციების მაგალითების ნახვა შესაძლებელია ევროკავშირის 2008/98/EC დირექტივის I დანართში („ნარჩენების მართვის ჩარჩო-დირექტივა“).
- გმ33. თუ საწარმო კონტექსტურ ინფორმაციას წარმოადგენს 40-ე პუნქტის შესაბამისად, მას შეუძლია:
- ა) ახსნას იმ *ნარჩენების* დიდი წონის მიზეზები, რომლებიც გაიგზავნა უტილიზაციისთვის (მაგ., მიუთითოს ადგილობრივი ნორმატიული აქტები, რომლებიც კრძალავს გარკვეული ტიპის ნარჩენების ნაგავსაყრელზე ჩამარხვას ან დაწვას);
  - ბ) აღწეროს სექტორში დამკვიდრებული პრაქტიკა, სექტორის სტანდარტები ან გარე მარეგულირებელი მოთხოვნები, რომლებიც მოითხოვს უტილიზაციის კონკრეტული ოპერაციის განხორციელებას; და
  - გ) მიუთითოს, მონაცემები მოდელირებული იყო, თუ მიიღო პირდაპირი გაზომვების შედეგად, როგორც არის, მაგალითად, ხელშეკრულებით დაქირავებული ნარჩენების მომგროვებლების მიერ შედგენილი აქტები ნარჩენების გადაცემის შესახებ.

**ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა E5-6 – „არსებითი რესურსების გამოყენებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული რისკებიდან და შესაძლებლობებიდან მოსალოდნელი ფინანსური შედეგები“**

---

- გმ34. თუ საწარმო ინფორმაციას წარმოადგენს 42(ბ) პუნქტის შესაბამისად, მას შეუძლია აჩვენოს და აღწეროს, როგორ აპირებს ის ღირებულების შენარჩუნების გაუმჯობესებას.
- გმ35. საწარმოს შეუძლია ჩართოს იმ პროდუქტებისა და მომსახურების შეფასება, რომლებიც რისკს ექვემდებარება მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში და ახსნას, როგორ განისაზღვრება ისინი, როგორ ხდება ფინანსური ოდენობის (თანხების) შეფასება და რომელი განსაკუთრებული მნიშვნელობის დაშვებები განსაზღვრა და გამოიყენა.
- გმ36. 43(ა) პუნქტით მოთხოვნილი *მოსალოდნელი ფინანსური შედეგების* რაოდენობრივი შეფასება ფულად გამოხატულებაში შესაძლოა დიაპაზონის სახით იყოს წარმოდგენილი.